განკარგულება:**გ-27.27212115**
თარიღი:**30/07/2021**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 57
30 ივლისი 2021წ.
ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის, განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მინიციპალიტეტის მერს, ა(ა)იპ „თელავის განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრს“ (ს/კ 231286836) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 10 (ათი) წლის ვადით გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თელავში, დავით რექტორის ქუჩა N8-ში მდებარე შენობა-ნაგებობის არასაცხოვრებელი ფართი 150.6 კვ.მ. (საკადასტრო კოდი 53.20.46.188).

2. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1800 (ათასრვაასი) ლარით.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზ.N41), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

არჩილი თხლაშიძე

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი